ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 159/2016
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „18" ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **სსიპ - კონკურენციის სააგენტო** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **რევაზ კავთელიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „კალასი "** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი **გენერალური დირექტორი ლიანა შონიას** სახით, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტითა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასტუმროში შეხვედრების და კონფერენციების ორგანიზების მომსახურების **(CPV – 55120000)** შესყიდვა. კერძოდ, სსიპ - კონკურენციის სააგენტოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) დადებული ხელშეკრულების ფარგლებში გასამართი სემინარისათვის საკონფერენციო დარბაზის დაქირავება საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით, 2016 წლის 19-20 ოქტომბერს - 09:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე და შემსყიდველთან შეთანხმებული მენიუს შესაბამისად, ყავის შესვენებისა (CPV – 55300000) **სახელმწიფო შესყიდვა.**

2. სახელშეკრულებო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 1260,00 (ათას ორას სამოცი) ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. ანგარიშსწორება წარმოებს მომსახურების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 **მიმწოდებული ვალდებულია:**

3.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები

3.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე, ასევე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1. არ განახორციელოს ქმედება, რაც ხელს შეუშლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

3.3.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. **შემყიდველი** უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, ხოლო **მიმწოდებელი** ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების განხორციელების დროს.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დაცვაზე კონტროლსა და ინსპექტირებას განახორციელებს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **რევაზ კავთელაშვილი;**

4.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

4.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

5.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე) უფლებამოსილი პირია სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **რევაზ კავთელიშვილი,** ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - გენერალური დირექტორი **ლიანა შონია.**

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 25 ნოემბრისა.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.ფორს-მაჟორი

10.1.ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

10.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

10.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების

და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
11.2.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

12.სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

12.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდა ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.სხვა პირობები

13.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი დამკვეთთან, ხოლო ერთი შემსრულებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

13.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემყიდველი:

სსიპ - კონკურენციის სააგენტო

ს/კ 205 310 938;
იურიდ. მისამართ: ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N7;
ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N154;
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22 ;
ხაზინის ერთიანი ანგარიში.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:

რევაზ კვეთელიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „კალასი“

მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 25
ს/კ: 204 391 005
ტელ: (995 32) 2 43 96 00
ფაქსი: (995 32) 2 43 96 69
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი :TBCBGE22
ა/ნ: GE93TB 7882 1360 8010 0002

გენერალური დირექტორი

ლიანა შონია

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2016 წლის 18 ოქტომბრის N159/2016 ხელშეკრულება

დანართი N1

შესყიდვის ობიექტი	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა
საკონფერენციო დარბაზი ტექნიკური აღჭურვილობით 23 სექტემბერი 09:00 სთ - 13:00 სთ - მდე	55120000	2დღე	400,00	800.00
ყავის შესვენება დღეში ერთხელ 23 პერსონაზე	55300000	2 დ X 23 პ X 10 ლ	10	460.00
ჯამი				1260.00

შემყიდველი:
სსიპ - კონკურენციის სააგენტო: ს/კ 205 310 938;
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:

_____

რევაზ ჯავთელიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „კალასი“ : ს/კ. 204 391 005;
დირექტორი

_____

ლიანა შონია